

F676/3 № 276

შეკრიპი

გაზეთი თავის მიზნით ისახავს—ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის კლასიურ ინტელიგენციას

ქუთაისი
კვირა, 9 ივლისი.
1906
წელიწადი პარკულა.
ცალკე № 3 კაპ. მსკოვის მუშებმა რეზოლუციონური, ათის სამუშაო დღე შემოიღეს; ქალაქის საბჭო ებრძვის მათ; სახელმწიფო სათათბიროს ში შიო ჩიტაძის შესახებ შეკითხვა შეაქვთ; მსკოვში კახაკებს სათათბიროს შესახებ რეზოლუცია გამოაქვთ.

№ 1. ყოველ-დღიური გაზეთი № 1.

1906 წლის 9 ივლისიდან გამოდის ყოველ-დღიური საბჭოური და სალიბერალური გაზეთი

„შეკრიპი“

გაზეთის ფასი: 1 წლით 3 მ., 6 თვით 2 მ., 3 თვით 1 მ., ცალკე № 3 კ. განცხადების ფასი: პირველ გვერზე პუარი პეტით 15 კ. მეორეზე—10 კ. რედაქცია მოთავსებულია ბალახანის ქუჩაზე, ალ. მხეიძის სახლებში № 5. ფოსტის ადრესი: Кутаись редакция „Шикрики“

ქუთაისში, მესხეთის ქუჩაზე № 7 ახლათ გაიხსნა მუსიკალური სახელოსნო.
მანსუკაძისა,
სადაც ხელ-საყრელ ფასებში იყიდება სკრიპები, გიტარები, მანდალინები და ბალალაიკები საკუთარი ხელობისა. იქვე მიიღება ზემოხსენებული „ინსტრუმენტები“ შესაკეთებლად. (2—1).

ქუთაისი, 9 ივლისი.

9 იანვარი არის რუსეთის დიდი რევოლუციის დასაწყისი. ამ დღიდან მეფის თვითმპყრობელობის გავლენა დღით დღე კლებულობს; ის იძულებული ხდება რევოლუციის წინაშე ქედი მოიხაროს და ერთი პოზიცია მეორე პოზიციაზე მოწინააღმდეგეს დაუთმოს. რევოლუციონური ხალხი მაგრამ ჭიდიებს ხელს აღებულ პოზიციას და შედგრათ წინ მისწრაფის, რათა დაუახლოვდეს უმთავრეს სიმაგრეს და ის ჩაიგდოს ხელში. ამ ორი წლისა და ნახევრის განმავლობაში უდიდესი გამარჯვება 17 ოქტომბერს მოხდა, როცა მეფის მთავრობას ხელიდან გამოვლიჯა რევოლუციამ თავისუფლება სიტყვის, კრების, კავშირების და პაროვნების ხელშეუხებლობა. ოქტომბერში და ნოემბერში ყველაზე მეტად გამოიყენა ეს თავისუფლებანი სოციალ-დემოკრატიაში. შიშის ზარი დაეცა მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიას, მათ მოვლანდა სოციალური რევოლუციის აზრდელი და გულში ჩაეკანენ ვიტე-დურნოვოს. პროლეტარიატი ამ წუთში მარტახელათ რჩება, გლეხობაში სტიქიური მოძრაობა; ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზია, რომელიც დაინტერესებული არიან სრულ დემოკრატიულ წესწყობილების გამეფებაში, ჯერ ორგანიზაციულათ შეკრულნი არ იყვნენ. ვიტე-დურნოვომ თავისი პროვოკატორული მოქმედებით პროლეტარიატი გამოიწვია ქუჩაში, დაიმარტახელა ის და მიუხედავად მისი თავგანწირული ბრძოლისა, ორი კვირის განმავლობაში მოსკოვის ქუ-

ჩებზე და მოედნებზე, ბოლოს დროს სძლია. გამეფდა ისტორიას რომ არ ახსავს ისეთი რებრესიები: კვლა, განუკითხველათ ხვრეტა, სახლების წვა-დაგვა, ქალების გაუპატიურება, ყოველივე ეს ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა და ასეთ დროს შეუდგა მთავრობა სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების მოხუნას. ჩვენი შეგნებული ამხანაგობის უმრავლესობამ სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადა. დარჩათ ბურთი და მოედანი კადეტებს და ხალხსაც, როგორც ყველაზე უკიდურეს პარტიას იმ ჟამათ, თავის ბედ-იღბალი მათ მიანდო. სათათბიროს უმრავლესობას ისინი შეადგენენ. მთავრობამ სათათბირო რევოლუციის დასამარცხებლათ გამოიგონა, მაგრამ მოსტყუვდა სათათბირო მეფის მთავრობის აშკარა მტერი შეიქნა. მათ შორის ხიდი ჩატეხილია და საეჭვოა, რომ გორემიკინის სამინისტრომ თუ გინდ კამარილიამ ხიდის გადგმა მოახერხოს. ორი თვის განმავლობაში თითქმის საერთო მთელი სათათბირო მეფის მთავრობის მხილებაშია. ყოფილი სამინისტრო ვიტე-დურნოვოსი და აწ არსებულიც ბრალდებულთა სკამზე სხედან, სათათბიროს დებუტატები ბრალდებითი ოქმებს უკითხვენ მათ. რუსეთის ყოველ კუთხეში გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ სათათბიროს მოქმედებას, ახალმა ტრიბუნამ ნაყოფიც გამოიღო, გლეხებში მოძრაობა დღით დღე იზრდება, სტიქიური მოძრაობის ადგილს ორგანიზაციული მოქმედება იჭერს. სოფლის ნახევრათ პროლეტარები და მიწის მუშები ითვისებენ. ქალაქის პროლეტარიატის ბრძოლის მეთოდს, დღე არ გაივლის ისე, რომ შეტაკება არ მოხდეს გლეხებსა და ჯარს შორის, ორივე მხრიდან აუარებელი მკედრები და დაჭრილები რჩება ბრძოლის ველზე. ჯარიც შეირყა. მეფისადმი ერთგულება ჰქრება და სიმპატია სათათბიროსკენ გადადის. უერთგულესი გვარდიის ჯარისკაცებიც დელავენ; სათბიროს ანგარიშების კითხვა მათ თვალებს უხელს, ტყობილობენ, სად ყოფილა მტერი და სად მოყვარი, ქალაქის

პროლეტარიატი მუდმივად მებრძოლი პირველ წყებაშია, ის ირავდება. ახლა დეკემბრის მწარე გამოცდილებით განსწავლული არ სურს მარტო შეებას მტერს, იმის მისწრაფება არის—რეაქციის განმარტოება და სხვასთან ერთათ მასზე იერიშის მიტანა.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით განვლილი გზა. აწი რა მოგველის? ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლო მომავალში დიადი მოვლენები გადაგვემდგება თვალწინ. ამის თავლები წარსულია. ის ჩვენ სრულ საბუთს გვაძლევს ვიტე-დურნოვოს, რომ რუსეთის რევოლუციონური ხალხი გორემიკინის სამინისტროს, კამარილიას და საერთოდ მთელ დახვსებულ წეს-წყობილებას სასტიკ მსჯავრ დადებს და საქვეყნოთ თავის განაჩენს გამოიტანს, ჩვენი ვალია, ხელი შევეწყუთ ამ დროის მოახლოვებას.

ხალხი და სათათბირო.

26 ივნისს მოსკოვის განაპირას მოხდა მოსკოვის გარნიზონის ყაზახთა კრება. დაესწრო 87 კაცი, მათ შორის 74 ყაზახი ამორჩეული სხვა და სხვა ნაწილებიდან გადამწვეტი ხმის უფლებით. განხილულ იქნა სხვათა შორის კითხვა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს. რეზოლუციის ავტორი ერთი იქ დამსწრე ოფიცერთაგანია „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამ ჟამად სათათბირო თავის სოციალურ მდგომარეობის გამო არ შეუძლია გახერხოს ხალხის სურვილების ნამდვილ გამომატველად, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყოველივე მისი საკანონმდებლო მუშაობა დაიმსხვრა ბიუროკრატის მიერ აღმართულ კედლებთან შეჯახებაში და ყოველივე კეთილი სურვილები, რომლის შესრულებასაც სათათბირო ლამობდა, დარჩა მარტო სურვილებათ; გვესმის-რა, რომ სათათბიროს არ შეუძლია მოსპოს ძალმომრეობა და, რომ მისი შემადგენელი უმრავლესობა, თავის სოციალური მდგომარეობით, ეწვეა ისეთ პოლიტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხის სურვილებს, ვინაიდან ის მოთხოვნილებები, რომლებიც წამოყენებულ იყო ხალხის თავისუფლების პარტიისაგან, არამც თუ არ არის დაკმაყოფილებული, თვით სათათბიროს უმრავლესობისგან უარყოფილია.—ჩვენ ვაცხადებთ, რომ სათათბიროს მოქმედება მართვა-გამგეობის შეცვლაზე ვერ გამოიწვევს ჩვენს თანაგრძობას, ჩვენ, როგორც ხალხის წარმომადგენლები, მოვითხოვთ

დაუყონებლივ განხორცილდეს ყოველ გვარი თავისუფლება, მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება, დათხოვნილ იქნეს 1, 2, და 3 რიგი ყაზახებისა; მანიფესტი გამოცეს სათათბირომ თავის უძლოურებაზე და დაუყონებლივ მოწვევებზედ ახალ სრულ-უფლებიან ხალხის წარმომადგენლობითი დაწესებულების. ამ რეზოლუციას ვუგზავნით სათათბიროს ს. დ. ფრაქციას და მშრომელთა ჯგუფს, რომლებსაც ამაში შეუძლიათ დაინახონ მისწრაფება პროგრესის მოტრფიალე ყაზახთა.

პეტიციონები

სახელმწიფო სათათბირო.

7—8 აგლასი.

სახ. სათ. სხდომა გაიხსნა 2 საათ. 50 წუთზე თავმჯდომარეობს მურომცევი. სათათბირო ისმენს პეტრუჩიკის მოხსენებას, რომ ყოველ ხუთ ახალ მოსულ სათათბიროს წევრთაგან არჩეულ იქნას თითო კაცი აგრარულ კომისიაში. წინადადება მიიღეს ორი შესწორებათ. დადგენილება შეეხება მხოლოდ იმ წევრთ, რომელთა აქამდე მოუსვლელობის მიზეზი დაგვიანებული არჩევნებია ახლად ასარჩევ. ტამბოვის წევრებს სათათბირო ირჩევს ორ ციმბირულ დებუტატს აგრარულ კომისიაში. სათათბირო, ამომრჩეველთა ბარათების გადაცემის შემდეგ, შეუდგა მთავრობის აგრარულ საკითხის მოხსენების თითოეულ მუხლის გარჩევას. პეტრუჩევიჩი აღიარებს, რომ, ამ საკითხმა თავის დაუნებურათ მიიღო სულ სხვა მიმართულება, ვიდრე ჩვენ მოველოდით, იმის მაგივრათ რომ ამ თავიდანვე წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობის შეცდომებზე. დღეს უკვე მემარჯვენეთა გაზეთები ჰკიცხვენ სახელ. სათათბიროს, რომ ის დააღვა რევოლუციის გზაზე. მემარჯვენე გაზეთების შეხედულებას პეტრუჩევიჩი სთვლის შეცდომად; სათათბირო არ ცდილობდა და არც ცდილობს ჩაიგდოს ხელში აღმასრულებელი ძალა. მთელი სახელმწიფოს გარეგოლიუციონერებას სწორედ მთავრობა უწყობდა ხელს და კიდევაც მან დააყენა ამ გზაზე. სათათბიროს მიზანია, მთავრობის ამგვარი შეცდომები აღიაროს და წინააღმდეგეს მათ. მთავრობა პირველი გამოვიდა თავისი მოხსენებებით ხალხის წინაშე და მით შეიტანა ხალხში უთანხმოება და არეულობა, ეს უმაღლეს წერტილამდე რევოლუციური ფაქტია, როდესაც მინისტრები მიმართავენ ხალხს და მთელს მხარეს გაფრთხილებით, რომ კანონმდებლობითი ინიციატივა სათათბი-

5691
9641

როს აგრარულ კითხვის შესახებ შეუძლებელია. ამ თავიდანვე სათათბიროს მნიშვნელობის დაცვა ხალხის თვალში ნიშნავს ხალხის გამოწვევას, მთელი სახელმწიფოს გარე-ვოლორეტიკონერებას. სათათბიროს საქმეა უთხრას მთავრობას, რომ ის მტყუანია. ამისდაგვარათ ორატორი აღდგენს ახალ ტექსტს აგრარულ საკითხის ცნობების შესახებ, ხალხის თავისუფლების პარტიის სახელით და იძლევა წინადადებას, თუ ეს მოხსენება იქნება მიღებული, გადაეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს „პრ. ვესტნი.“ დასაბეჭდათ, რადგან სათათბიროს აქვს უფლება უარყო მთავრობის ცრუ ცნობები. (ტაშის ცემა ცენტრში) სთვლის შეცდომად პეტრუნკევიჩის სიტყვას და მოხსენების შესწორების მაგივრად ახალ ტექსტის შედგენას (ტაშის ცემა მემარცხენეებში), და წინადადებას იძლევა დაუბრუნონ ტექსტი ავტორს. პეტრუნკევიჩი აცხადებს: ვკითხულობდი ტექსტს იმისთვის, რომ სათათბიროსთვის საკითხი გამაღვივებინა, მაგრამ ფორმალურათ ტექსტი შეიძლება დაიყოს სამ შესწორებათ (ტაშის ცემა ცენტრში). ბუსლავეი მხარს უჭერს ჟილკინის წინადადებას, ოტსტაფიევი ეთანხმება პეტრუნკევიჩს და ითხოვს გადიდვას ამ კითხვის ვარსკვლავს, რომ უფრო ვრცლათ გაეცნონ ამ საკითხს, ბარაშვილი სცნობს, რომ ეს საკითხი სწორეთ თავის დროზეა წამოყენებული და წინადადებას იძლევა დაუყონებლივ შეუდგენ ამ საგნის თვითმუშა მუხლის გარჩევას. რამიშვილი ეთანხმება ბარათაშვილს. ვოლკონსკი ითხოვს: წინ და წინ დაბეჭდილი იქნას შესწორებანი, რომელიც შეტანილი იქნება ტექსტში.—ნაბოკოვი ვერ ხედავს პეტრუნკევიჩის ტექსტში რადიკალურ შესწორებებს (ტაშის ცემა) რამიშვილი აცხადებს, რომ მემარცხენეთა პარტია იმ წინადადებას არ იძლევა, რასაც ცენტრი და მემარჯვენენი; ხალხმა უარყო ძველი მთავრობა და შესწერებია სახელმწი-

ფო სათათბიროს. ცენტრი და მემარჯვენენი მიიღობიან დემოკრატიულ წყობილებს, მემარცხენენი კი სოციალიზმისაკენ, მაგრამ ამით მემარცხენეთ სულაც არ სურთ რევოლუციის გადავივა, ეს უადგილო იქნებოდა ჯერ ჯერობით, სანამ მონები არ გადაქცეულან მოქალაქეებად. მემარცხენეთა პარტიის მიზანია, დააქარონ ძველი მთავრობის დაღუპვა და აღამალონ მნიშვნელობა ახლათ აღმოცენებულ მთავრობისა. აქედგან გამოსავლელი გზა მხოლოდ ერთი-ღაა:—განუცხადოთ ხალხს რა მდგომარეობაში იმყოფება სახელმწიფო სათათბირო. ხალხის თავისუფლების პარტია ჰქადაგებს მიწის გამოყიდვას, სოციალდემოკრატიული ფრაქცია წინააღმდეგია ყოველივე გამოყიდვისა. მშრომელთა ჯგუფს აქვს თავისი პროგრამა, მაგრამ ყველა პარტია თანხმდებიან იმაში, რომ მთავრობა პროვოკაციულად მოქმედებს და ამისთვის უკანასკნელ კითხვაში კი შეიძლება შეთანხმება (ტაშის ცემა). ეზერსკი გამოსთქვამს, რომ სათათბიროს ნელა მუშაობას ხელს უწყობს მეტი ენაწყლიანობა თვითვეს კითხვის გამორკვევის დროს; ხშირათ ვიმეორებთ ერთსა და იმავე აზრებს (ტაშის ცემა). ჟილკინი აცხადებს, რომ მას სრულებითაც არ გამოუწვევია ხალხი მიწის ძალით წართმევაზე ან აჯანყებაზე, მივმართეთ რა ხალხს თხოვნით: ნუ დაკარგვენ რწმენას სათათბიროსადმი და გამოესაჩლონ მას; ამით მშრომელი ჯგუფი ამოწმებს, რომ მას სურს განაგრძოს კეთილნაყოფიერი მუშაობა სათათბიროში (ტაშის ცემა მემარცხენეთა). გალცკი მიმართავს ხალხის თავისუფლების პარტიას და ეუბნება, რომ თქვენი ორატორები მუდამ აშინებენ მინისტრებს სათათბიროს გარშემო მდგომ ხალხის ძალით; ეხლა კი, როდესაც ამ ძალისადმი მიმართვა მართლაც დაგვიკრდა, თქვენ გეშინიანთ (ტაშის ცემა მემარცხენეთ), ამ ანარხის

დროს, რომელიც მოდებულა მთელს რუსეთში, არა კანონები და მუხლგზა საჭირო, არამედ ხალხის თანაგრძობა—(ტაშის ცემა). თავმჯდომარე ერთის საათით სწყვეტს მსჯელობას, ჟილკინი უარყოფს შესწორებების გამოქვეყნებას კითხვის დროს. თავმჯდომარე ხსნის, რომ შესწორებების გამოქვეყნება სასურველია ერთი ორი დღის წინედაც კი, სანამ მსჯელობას ვიქონიებდეთ. პონიატოვსკი ითხოვს მიეცეს დრო ორივე ტექსტის გადახედვას. დობროტოვსკი ითხოვს, გადაიდგას მსჯელობა სანამ შესწორებები დაიბეჭდებოდეს. ჟილკინი ამბობს: ეს კითხვა ისეთი დიდ მნიშვნელობანია, რომ აქ ხრიკები შეტია და ითხოვს, სანამ აქედან გავიდოდეთ, ეს კითხვა უნდა გადაწყდეს. რამიშვილი ამბობს, რომ ხალხის თავისუფლების პარტიის შესწორებები წამოყენებულია მისთვის, რომ როგორმე გააქიანურონ საქმე. ნაბოკოვი უპასუხებს, რომ ავითვე საყვედურით შეიძლება მივმართოთ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რადგან მან შეგვიბრდა შეიტანოს ტექსტში კიდევ მეტი რადიკალური შესწორებანი. სათათბირომ დაადგინა, დაუყონებლივ შეუდგეს ამ საკითხის გადაწყვეტას. მუხანოვი არკვევს, რომ სათათბიროს ცნობა შეიცავს მოწოდებას ხალხისადმი, მაგრამ ამას არ უნდა ვუცქიროდეთ ჩვენ, როგორც რამე დიდებულ აქტს. ვოლკონსკი შენიშნავს, რომ თუ ეს ცნობა დაიბეჭდა მთავრობის უწყებებში, მაშინ უმჯობესია დაერქვას მთავრობის ცნობა. (სიტყვალი). თავმჯდომარე აქვეყნებს პირველ ნაწილს ცნობისას და შეაქვს პეტრუნკევიჩის შესწორება. კოტლიარევსკი უთითებს ორ გზაზე: პირველი—მოქმედება ხალხის წარმომადგენლობითი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიიღებს ნამდვილ ხალხის წარმომადგენლობითი უფლებებს და მეორე—სხვა და სხვა ზომები, რომლებიც ჩვენ უარ ვყავით. არა გვაქვს

საბუთი, მივატოვოთ ჩვენდამო არჩეული გზა. ჩვენ დასამზღვიდებოდა უნდა ვიწვევდეთ ხალხს. გარდა ამისა უპასუხებს: თავმჯდომარე უნდა ითხოვდეს, რომ შესაძლებელია მთავარ მიზანს გადავცეთ. ბევრ სათათბიროს წევრს გონია, რომ თითქმის ისინი კომედიის სათამაშოდ იყვნენ აქ მოწვეულნი; ნამდვილი მებრძოლნი ვგრე არ იქცევან; თუ ჩვენ კიდევ ამ ბრუნდ გზას არ ავცდენივართ, ხალხი ზურგს შემოგვაქცევს ჩვენ და მრისხანებით წაგვყავს არა მარტო მემარჯვენეთ, არამედ მემარცხენეთაც კი და ამ საკითხის გადაწყვეტას თვითონ ჩაიგდებს ხელში და თქვენ-კი გეტყვის, რომ არ შეგიძლია იყოთ ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი! როგორც მხალეები და მშიშარები (თავმჯდომარე აჩერებს). ორატორი აღიარებს, რომ ხალხი თუ ვგრე ყრუთ დამშვიდება, ის ვერ მიიღებს ვერც მიწას და ვერც თავისუფლებას. ოსტაფიევი ამტკიცებს, რომ ხალხი სათათბიროსაგან მოწოდებას კი არა, კანონმდებლობითი აქტებს თხოვლობს. გრაფი გვიდენი მოაგონებს მემარცხენეთა წარმომადგენლებს, რომ ისინი ამდენ ხანს ლაპარაკობდნენ მთელი რუსეთის ხალხის სახელით, ეხლა კი ამბობენ, ისინი მოვიდნენ აქ ცრუ ვეჭილობით. ჟილკინის სიტყვაში ორატორი ხედავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შემაერთებელ სიგზის დადგენილების სიტყვა სიტყვით განმეორებას. სათათბირომ დადგინა არ შესწყვიტონ მსჯელობა ამ საკითხის შესახებ. მიხაილიჩენკო უჩრევს, რომ ნუ გაურბიან ხალხისადმი მიმართვას. ჟილკინმა სთქვა, რომ თუ არსებობს ხალხი რევოლიუციონური მოძრაობა, არ შეიძლება მისი ვაჩერება. და შეაქვს შესწორება მშრომელ ჯგუფის სახელით (ტაშის ცემა). პეტრუნკევიჩი უპასუხებს რომ სახელმწიფო სათათბირო ერთად ერთი საკანონმდებლო დაწესებულებაა, რომელსაც შეუძლია აგრარულ საკითხის

ფელეტონი

პროლეტარიატის სიმღერა.

გარს გასუკევა საზარ ბნელი,
შორს, მთის აქით სჩანს სისაფის სისათლის
და ჩვენს იმასკენ მსაუკურებათ,
მივაფრთხილებთ დროშას სიმართლის.
ხარ-გვლათ მოცულ გზაზე მივდივართ,
წინ გვიდგება სისხლის მსიქელ მსეტო
გრება,
ქედ-მოუხრებათ ვებრძობათ, გებრძობათ ..
მსხვერპლად მსხვერპლს მასდაკვს, სისხ-
ლი იღვრება.
ოხ, ბეკრა, ბეკრა დაკვარგეთ უკვე
თავგანწირული მებრძოლი გმირო!
მაგრამ ჩვენ მაინც მივაბრძობთ მედროთ,
წარბსაც ვერ გაისრის გება და ჭიბი.
ადრე თუ გვიან შეგმუსრავთ მსეტებს,
გადვილათ მსაქეს ბნელათ მოცულსა
და ტუბილ სადამსა ვუძღვნით სიმართლეს
ამ ჩვენს იდეალს, ჩვენს სიხარულსა.
ეს არის ჩვენა უკვდავი რწმენა
ტანჯვის ქარ-ტუცხლში გამტკიცებულია
და, კადრე ვარში სულია გვიდგება,
გებრძოლებო მუდამ თავგანწირული!
გ. ჩან-რუხაძე.

გაპონის კრიტიკოსები

და რუსეთის სოციალიზმი.
(ფრანგულიდან *)
მეარფასა ამხანაგებო!
თქვენი გაზეთის 14 დეკემბრის
ნომერში დაბეჭდილი იყო მოქალაქე
გაპონის ორი წერილი, რომლებშიაც
ის ხსნის თავის პოზიციას და განწყობილებას
ინტერნაციონალურ სოციალიზმის მიმართ
საზოგადოათ და კერძოთ რუსეთის სოციალიზმთან.
ამ წერილებიდან სჩანს, რომ მოქალაქე
გაპონი ინაწილებს ინტერნაციონალურ
სოციალიზმის შეხედულებას, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ის
მაინც ვერ ეთანხმება რუსეთის სოციალისტებს,
რადგანაც ის ტაქტიკა, რომელიც მათ მიიღეს,
გაპონს მიზნია დამლუპველათ რუსეთში მ.
ძრაობისთვის. მართალია ეს თუ არა?
თუ მოქალაქე გაპონი კიცხავს რუსეთის
სოციალისტებს, რომლებიც მეტათ იოლათ
და უბრალოთ უყურებენ შეიარაღებულ
აჯანყების კითხვას,
მაშინ მან, თუ მიუკერძოლო-
*) იხ. ვაზ. „L'Humanité 5/18 დეკემბერი,
1905 წ.

ბას გამოიჩინს, პირველათ თავის თავი უნდა გაიკცხოს. მართლაც, თერთმეტი თვის განმავლობაში, რომელიც ჩვენ გვყოფს იანვრის სისხლის ღვარებისგან, მას არ შეუწყვეტია შეიარაღებულ აჯანყებაზე ლაპარაკი, და საზოგადოათ იმ სამოქმედო საშუალებაზე, რომელიც მიჩნეულია უვიცებისგან როგორც უდიდეს რევოლიუციონურ საშუალებათ, და რომელიც ფაქტიურათ მოგვაგონებს ანარხისტთა პროპაგანდას. ამას ამტკიცებს მისი პროკლამაციები, რომლებიც ამ დროს განმავლობაში დაწერა.
თუ ამ ნაწარმოებთ, ერთ წუთით გონების თვალთ გადახედავთ და საერთოთ დავაფასებთ არ შეუძლიათ ეჭვი შეიტანონ იმ ფაქტზე, რომ მოქალაქე გაპონი იყო „ყველაფრის დამრღვევი რევოლიუციონერი“. მე თვითონ ერთხელ კიდევ გავიგონე მისგან, რომ სოციალ-დემოკრატია ამ დროში, არ არის საქმათ რევოლიუციონური პარტია. მარა დღეს მოქალაქე გაპონი ვითომც სრულიად განკურნულია ამ

ძალადობის ციებ-ცხელებისგან. მის სასარგებლოთ მე ძალიან მოხარული ვარ, მაგრამ მას არ უნდა ეძღვნა ჩვენთვის საყვედური, რომლის ღირსივე ყველაზე უწინ თვითონ იყო. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არის, მართალია, ერთი ფრაქცია, რომელიც აზვიადებს შეიარაღებულ აჯანყების შანსებს. ეს ის ფრაქციაა, რომელსაც ამ უკანასკნელ დრომდრი ორგანოთ „ზრდა-ლეტარა“ ქონდა, მაგრამ მოქალაქე გაპონმა კარგათ იცის, რომ ამ ფრაქციის ტაქტიკა ენერგიულათ უარყო სოციალდემოკრატიის მეორე ფრაქციამ, რომელიც დარწმუნებულია იმაში, რომ ახლა პროლეტარიატის შეიარაღებულ აჯანყებისთვის გამოყვანა, (მისი) პროლეტარიატის დამარცხებას მოასწავებდა.
შენიშნავ კიდევ, რომ ამ საგანზე მასთან ბევრჯელ მქონდა ლაპარაკი, რომელშიც გაუმეორე, რომ თუ რამე მოიპოვება ახლანდელ რევიმის მშველელი, ეს უსათუოთ იქნება უდროვეო დროს აჯანყება, რომელიც მეტათ სასურველ მიზეზს მიცემდა

გადაწყვეტა; შეიძლება სწორეთ მინისტრთა მოქმედებამ საბოლოოდ გაარევილიყო...

სახელმწიფო საათბიროში შეაქვთ წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. კურლენკო აცხადებს სურვილს, რომ გამოქვეყნებულ იქნას ის მასალა...

ახალი ამბები.

ქუთაისის საგუბერნიო სტამბაში, როგორც გადმოგვცეს, მეტად ცუდ პირობებში ჰყავთ თურმე შეგირდები...

ჩვენს რეაქციონერებს, რათა ჩვენი რევოლიუციონერი მოძრაობა პროლეტარიატის სისხლში ჩაახრჩონ...

ამასგარდა პეტერბურგში მუშათა დელეგატების საბჭოს დეკლარაციები კარგათ გვიჩვენებენ...

ყველა ამაზე, მოქალაქე გაბონი თავის წერილებში არაფერს არ ამბობს. ეს მე არ მაკვირვებს...

ხმა დადის, რომ ქ. ქუთაისში ამ თვის ოცამდე უნდა მოიხსნას გაძლიერებული დაცვის წესები.

ფოთიდან იუწყებიან, რომ 3 ივლისს იქ გაფიცულან რკინის გზის არტელის მუშები.

პარასკევს, 7 ივლისს, ღამით 9 1/2 საათზე, ფერმის ქუჩაზე, ვიღაც ბაროტ-გამხრახველთ გასტეხეს გოჯასპირ ასათიანის ოთახი...

კამპანის ქრონიკა.

გენერალ-გუბერნატორის მოქმედება. ბარონ ნოლდეს 30 ივნისს პეტერბურგში ხელმწიფისთვის წარუდგინა დაწვრილებითი მოხსენება...

როგორც გაზ. „სიმართლე“ გადმოგვცემს, 6 ივლისს, ნაშუადღევს ორ საათზე „იდეალის“ სტამბაში მივიდა სტამბების ინსპექტორი...

გუბერნატორის დაბრუნება. ტფ. გუბერნატორი, რომელიც 4 ივლისს გორის მაზრის სოფლების დასათვლიერებლად გაემგზავრა...

როგორც გაზ. „სიმართ.“-ს გაუგია, ყვარიაში ფედერალისტებს

იქ მხარი დაეჭირა იმ წევრებისთვის, რომლებიც თავის ძალღონეს ხმარობენ დაუშალონ თავიანთ ამხანაგებს...

ბევრგვარი მიმდინარეობაა რუსეთში, მარა ისენი ვერ უშველიან ამ ქვეყანას და ვერც შეცვლიან მის მდგომარეობას.

სოციალისტური მიმდინარეობა? მოქალაქე გაბონი ამაზე არაფერს არ ამბობს. ის რევეს რუსეთის სოციალიზმს სხვა მიმდინარეობებში...

მაშ, რომელი მიმდინარეობაა, რომელიც შეიძლება შეესრულებია ამნაირი მხსნელი (მშველელი) მოქმედება?

მოქალაქე გაბონი განაგრძობს: „თქვენს საქმეს და თქვენს ბედს თქვენს გარდა, ნუ ჩაუვდებთ სხვებს

კრება ქონათ და გადაუწყვეტიათ ერთი თავიანთი წმრმომადგენელი გავზავნონ რ. ს. დ. მ. პ. მომავალ სიუზღზე.

მუშათა ცხოვრებიდან

აგერ მათე დღეა, რაც ქუთაისის პარიკმახერების ქარგლებმა და შეგირდებმა გაფიცვა გამოაცხადეს და წარუდგინეს თავიანთ ხაზინებს შემდეგი მოთხოვნები:

- 1) დუქანი იღებოდეს დილის 7 საათზე და იკრებოდეს საღამოს 7 საათზე.
2) ჯამაგირი მოემატოს მანეთზე 30 კაპ.
3) მოგვეცეს ხაზინებიდან ოთახის ქირა თვეში 3 მანეთი.
4) ქარგალს ეძლეოდეს ავათიყოფობის დროს ერთი თვის ჯამაგირი და ადგილი ენახებოდეს სამ თვეს.
5) ქარგლებს წელიწადში მიეცეს ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირის შენახვით.
6) გაფიცვის გულისათვის არავინ იქნას დათხოვნილი და თუ დაითხოვს მიეცეს სამი თვის ჯამაგირი.
7) შეგირდებს მიეცეს ორი რწყილი ტანისამოსი და აბანოს ფული.
8) კვრა უქმი დღე თავისუფლება და აეკრძალოს ხაზინის სახლში შეგირდის სამსახური.
9) შეგირდი, რომელსაც გაუთავებია ორი წელიწადი, დაენიშნოს რომელსაც ესმის, თვეში 5 მან.
10) შეგირდების ვადა ისახლდრებოდეს სამი წლით.
11) ხაზინის აეკრძალოს შეგირდიდან ნაშარგიდევს აღება.
12) ხაზინებიდან ზრდილობიანი მოპყრობა შეგირდებზე.
13) კანდრახების გაუქმება.
14) რამოდენიმე პარიკმახერი ამ მოთხოვნილებაზე უკვე დათანხმდა და შეგირდებიც უკვე შეუდგენ მუშაობას უმეტესი ნაწილი ხაზინებისა ისევ ჯიუტობდენ. ბოლოს როგორც იქნა ისინიც დათანხმდენ სამედიატორო სასამართლოზე, რასაც ქარგლები დიდის სიამოვნებით

ხელში“. ასე ვთქვათ: თქვენი საქმე და თქვენი ბედი მომეცით მე ხელში და მე გავძლიერდები, რა ამით ისე, რომ თქვენც დაგიხსნით და თქვენთან ერთად მთელ რუსეთსაც“.

მოქალაქე გაბონს სურს, რათაც უნდა ღირდეს, ყავდეს თავის საკუთარი პარტია. ყველაფერი აქ იყრის თავს, მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ მან დიდი აღელვებით მელაპარაკა პეტერბურგის მუშების დელეგატების რჩევაზე. ეს რათა? იმიტთვის, რომ რჩევას სრულიადაც არ სურს მას მიანდოს თავის ბედი. მოქალაქე გაბონი სთესს დაქსაქსვას რუსეთის პროლეტარიატში და იგი მინც არ იცნობს ა. ბ. გ-მდისაც კი თანამედროვე მუშათა მოძრაობას; სოციალ-დემოკრატიის ნაცვლათ, რომელ იღვას შემოიღებს? თესვა დაქსაქსვისა ამისთანა კრიტიკულ მომენტში ძლიერ მოუფიქრებელი მოქმედებაა, მაგრამ ამას უნდა მიუმატოთ კიდევ მისი თაყვანის ცე-

შეხვედენ, მაგრამ დახეთ უბედურებას. მედიატორების პირველი კრების შემდეგ, მათ უარი განუცხადებიათ ყოველ ნაირ მორიგეზე...

„პარტოების“ ცეხის დადგენილება: აგერ რამოდენიმე კვირაა, რაც ილარიონ ჭეიშვილის ქარგლები გაიფიცენ და წარუდგინეს თავიანთ აღას შემდეგი მოთხოვნებიანი.

- 1) სამუშაო დღე იწყებოდეს დილის 7 საათზე და თავდებოდეს საღამოს 7 საათზე.
2) თავისუფლება სასადილოდ საათ ნახევარი.
3) გაფიცვისათვის არავინ დაისაჯოს.
ილარიონ ჭეიშვილი ქარგლებს არ აკმაყოფილებს. წინადადებას ვაძლევათ: აუსრულოს მოთხოვნილებები ქარგლებს, ან გაყვეს მათ სამედიატორო სასამართლოში.

ბათუში. მეტად მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში არიან, ძანსულის თითბრის სადნობ ქარხნის მუშები. ეს ქარხანა ეკუთვნის ინგლისის ამხანაგობას: დაახლოვებით 400-დე მუშაა; ამ რიცხვიდან 100 კაცამდე რუსებია, ქართველები, და ბერძნები არიან, დანარჩენი 300 კაცი კი ოსმალეთის ქვეშევრდომი თათრებია. ქარხნის გამგეთ ამხანაგობს ყავს დანიშნული მეხანიკი ხაუსი, რომელიც მეტათ სასტიკათ და „ულმერთოდ“ ეპყრობა მუშებს. მიუხედავად გრძელი სამუშაო დღისა, სამუშაო ქირა ძლიერ ცოტაა, რის გამო მუშები ეკონომიურათ ძლიერ გაჭირვებული არიან. მუშებმა არა ერთხელ-და ორხელ მიმართეს თხოვნით ინჟინერს, რომელიც დროგამოშვებით ეწვევა ქარხნის ადმინისტრაციას, მაგრამ მან მუშების თხოვნა ყოველთვის უყურადღებოთ დატოვა. ბატონი ხაუსი კი იმ მუშებს, რომლებიც გაბედვენ ხმის ამოღებას, თავიანთ გაჭირვებაზე, აჯარიმებს ერთიდან ექვს მანეთამდე და ან სულ ითხოვს სამუშაოდან. როგორც გადმოგვცემენ კიდევ ბევრი უკუღმართობა ხდება ამ ქარხანაში ბ-ნი ხაუსის წყალობით, მაგრამ მაგზედ შემდეგ გვექნება დაწვრილებით ცნობები.

მანი „Vitte“-სადმი, რომელიც სრულიად ვერ განბანა „Matin“-ში მოთავსებულმა მისმა წერილმა, რომელიც დანიშნული იყო სინამდვილით მისი პოლიტიკური აზრის გამოსახატავათ. აქ არის ნამდვილათ იმისთანა რამ, რომელიც აწუხებს ადამიანს და კითხულობს, ნუ თუ მოქალაქე გაბონი, ჯვარიდან და ხატებიდან დინამიტამდის გადახტება და თუ ამ გზით ის არ განიცდის ახალ ცვლილებას—„მეტამორფოზას“. ვათავებ რა, მე აქ გავიმეორებ რაც პირადათ უთხარი მოქალაქე გაბონს: თუ იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიას ებრძვის, თვითონვე, დასჯის თავის თავს, რადგანაც ჩაიდენს მთელ რიგს, გაუსწორებელ და მაშასადამე, შეუწყნარებელ შეცდომებს.

თქვენი ზატავის ძვექველი გიორგია პლენხანავი. ენევა, 2/15 დეკემბერი.

პროვინცია.

ს. ბაქთი. (აზერბაიჯანის მხარე) რეპრეზენტაცია, გაშალა ფართი თავისუფლების დროშაში იმართება კრებები, გამოსაქვე რეპრეზენტაცია სათათბიროს და სხვა პოლიტიკურ კითხვების შესახებ, და ამ საერთო გამოსაქვეს ანტი აკეთი ჩამოწმის. კვირას 25 ივნისს აქ გაიმართა სასახლე მიტინგი. ასეთი მიტინგი რეპრეზენტაციის შემდეგ პირველი იყო და ამიტომაც სახელი ძალიან დაინტერესებული იყო. გაიჩნა შემდეგი საკითხები: 1. სახელმწიფო სათათბიროს და ჩვენი ტიტულაჟი. 2. აგრარული საკითხი. 3. შინაურული თვითმართებულება. პირველი საკითხზე დიდი ხნის თათბირის შემდეგ დადგინეს შემდეგი: ხელს შეუწყობთ სათათბიროს, ყოველ რეპრეზენტაციას მოქმედებას, მიტინგმა განაწინა უმთავრესი პარტიების პროგრამები და აგრარულ კითხვების შესახებ. თვითონ ელექტორები იღებდნენ მონაწილეობას პარტიების განხილვაში და იმდენად კითხვებს მიწოდებდნენ მონაწილეობას მონაწილეობის შესახებ. მესამე საკითხზე ბევრი ილაპარაკეს, ყოველად უხსნო ადამიანები სახელმწიფო შემოსავლით და ქურდობა ბატონობას კადებზე ხელს ათქვამს ბევრი აზრი სასჯელის შესახებ. კრება ბოლოს იმ აზრს დადგა, რომ თვითმართება სასჯელის მაგიერ ქურდობის განსწორებასთან შემაჯობებელი იქნას წინადადება სასჯელი. კრებამ მიიღო რეპრეზენტაციის სახელმწიფო სათათბიროში მუშების წარმომადგენლებთან და მშრომელთა წარმომადგენლებთან. რეპრეზენტაციაში შემდეგი მოთხოვნები: საკვდილით დასჯის მოსპობა, საყოველთაო ამინსტია სამხედრო წესების მოხსნა, რვა საათის სამუშაო დღე. მუდმივი ჯარის მოსპობა, და სამხედრო ხალხის მიღობის შედეგად მიწის კონფისკაცია და თვითმართებულების ხელში გადაცემა დემოკრატიული კრების მოწვევა საყოველთაო პირდაპირი, თვითმართება და თანასწორობის ხმის უფლებით. და სამინისტროს, ადგილობრივ მმართველობის და მთელი ქვეყნის მთავრობის ხსენების გეგმაში მიტინგმა, ბოლოს გამოცხადდა უნდადობა კონსტიტუციის მთავრობას.

კარლისტი.

რუსეთი

განახლებების განახლება უნდა იქნას. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამარის გუბერნიის დეპუტატმა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ გლეხები გადასახადებს არ იხდიან აგრესორ თვეზე მეტია, ერობისგან ნათხოვარ სამუშაო იარაღებს და ცხენებს ყიდიან, სოფლები სრულიად გადატარდა და ხარჯთ აკრეფა შეუძლებელია. საერთო სამართლებლობის კანონი ცარიელია.

— 28 ივნისს პეტერბურგის ცენტრის მქრობ რაზმმა გაფიცვა გამოაცხადა და მოთხოვნები წარუდგინა მთავრობას. „ახ. ცხ.“

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუღია მოხსენება 24 ივნისს კოვნოს გუბერნატორისაგან იმის შესახებ, რომ 18 ივნისს გლეხებს გაუცარცვავთ შერეგეტების ყოფილი მამული, აგრესორ დაუნავთ და მიუსაკუთრებიათ ვაჭარ ანდრეევის მიწები. კახათა რაზმმა, რომელიც გამოიწვია

მამულის მმართველმა კონსტანტინე, უარი განაცხადა გლეხების წინააღმდეგ იარაღის ხმარებაზე და დემონსტრაციულად მიიმაღ-მიიმაღლენ გლეხების ქოხებში, მიუხედავად „ესაულის“, წინააღმდეგობისა. შინაგან სამინისტროს ამ მოხსენებაზე შემდეგი ტელეგრაფით უპასუხებია: „მიანდვეთ ერობათა უფროსებს შევსონ სოფლის საერებო დარაჯები ჯამაგირის მომატებით“. (ტ. უ.).

— როგორც ვაზ. „ტრუდ. ჟიზნი“ გაუგია, 24 ივნისს სოფელ ბახმუტის მახლობლად გაუმართავთ მიტინგი, რომელსაც დასწრები 5000-დე კაცი მთავრობას კახაკები გაუგზავნია მიტინგის გასარეკად, მაგრამ კახაკები შეერთებით მიტინგზე მყოფ ხალხს. შემდეგ გამოუწვევიათ დრაგუნები, რომლებიც დასვეიან ხალხს და გარეკა მოუხდომებით, მაგრამ დრაგუნებს შებრძოლებია კახაკები, რომლებიც იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. კახაკებისთვის იარაღი აუყრიათ და ყარაულის ქვეშ გაუგზავნიათ ბახმუტში. ხალხში მღვდლებმა გამოუწვევია ამ ამბავს.

— ქ. ვოლსკში ორთქილ-მავალით მოსულა 130 ასტრახანელი კახაკი. ამავე დროს ჩვენ გავიგეთ, რომ ქ. სასნოვკაში კახაკებს უარი განუცხადებიათ „ისპრავნიკის“ წინადადებაზე—ეხმარათ იარაღი ხალხის წინააღმდეგ, დაბრუნებულან ვოლსკში და დათხოვნის მიღების შემდეგ გამგზავრებულან დონისაკენ, ნუ თუ ეს არ არის მიზეზი ახალი რაზმის გამოგზავნისა? „გ. ნ.“

ვაზ. „Arbeiter Zeitung“-ის მოსკოველი კორრესპონდენტი უტყუარ წყაროებიდან იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 400,000 მან. გადასდო უკანასკნელ სამს თვეში მოსკოვის საიდუმლო პოლიციაზე გაწეულ ხარჯების დასათარავად.

— ამას წინათ ალაღინმა სათათბიროში განაცხადა: „სამი მეოთხედი იმ ფულებისა, რომელიც დამწეულთა სასარგებლოთ იყო გადადებული, ადმინისტრაციის ჯიბეში რჩება“. ალაღინის სიტყვების გამო, ბ. სტოლცინმა წამოაძახა: „ცილის-წამება“... ამის გამო „არხივის ვირთხას ონფურის“ „ვაზ. მე-XX საუკუნეში“ საინტერესო ცნობა მოყავს, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ იპარავდნენ არა სამ მეოთხედს ე. ი. არა 75%, არამედ გაცილებით მეტს—80%. ამის გამო სახელმწიფოს კანტროლერის მოხსენებაზე შემდეგი უმაღლესი შენიშვნებია გაკეთებული: „დაიხ, ფრიადსამწუხარო და საზიზღარია ამისთანა საქმე“.

არის ამ გვარი შენიშვნაც: „უმაღლესი ნების ამ გვარი წინააღმდეგ მოქმედების შესახებ სახელმწიფო კანტროლიერმა მოხსენება წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს შესაფერ ზომების მისაღებათ“; ამ შენიშვნაზე მისი იმპერატორობითი უმაღლესობის საკუთარის ხელით აწერია: „ნამდვილი უტიფრობა“.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს „კეთილ საიმედო“ გუბერნატორებისთვის დაუგზავნია მოწერილობა, რომ დაუყონებლივ მოახდინონ თავი ანთ სამფლობელოში ანკეტა და დანამ-

დვლებით გაიგონ ხალხის სულიერი განწყობილება და საქმის საერთო მდგომარეობა. ამასთანავე უნდა გამოიკვლიონ, თუ რა მიმართულების პირებს მიცემს ხმას ხალხი, არჩევნები რომ მოხდეს საყოველთაო კენჭის ყრით. აგრესორ უნდა შეატყობინონ გუბერნატორებმა მინისტრებს ცნობები არა კეთილ საიმედო უბნებზე და თავიანთი მოსახრებით იმის შესახებ, თუ რამდენათ შეუძლია ადმინისტრაციულ ზომებს, როგორცაა მაგალითათ ზოგიერთი არა საიმედო სადებუტატო პირების, გაშვება, სასურველ ნაყოფის გამოღება.

მოძრაობა ჯარში.

პეტროვსკის და ვიბორგის პოლკების ჯარის კაცებმა მიტინგზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიც ამბობენ, რომ ჯარის კაცი თანაუგრძნობენ განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც მთელი რუსეთი მოიცო, ჯარის კაცებს ესმით მიწის და თავისუფლების სურვილის სამართლიანობა და ამისათვის რუსეთის გლეხობას მხარს დაუჭერენ.

— ტამბ. გოლ. „იუკობინება, რომ 20, 21 და 23 ივნისს ქალაქში ჯარის კაცთა მიტინგები ხდებოდა რკინის გზის ახლო მოედანზე მიტინგებში უმთავრეს მონაწილეობას კავალერისტები იღებენ. ჯარის კაცები გაიფიცენ და ბევრი მოთხოვნები წარადგინეს. სხვათა შორის:

- 1) პოლიტიკური სამსახურიდან განთავისუფლება.
- 2) პოლიტიკური რწმენის სრული თავისუფლება და ამ საქმეებზე დაქვრილი ჯარის კაცთა განთავისუფლება.
- 3) სრულიად ვეთანხმებით ჩვენი ხალხის წარმომადგენელ დებუტატების მოთხოვნებს და უერთდებით მშრომელ ჯგუფს.

— ალაღინის კუნძულზე დაბინავებულ რუსეთის ჯარებში მოძრაობა დაიწყო. ერთ კუნძულზე ჯარის კაცი გაიფიცენ და მოითხოვეს საქმელის გაუმჯობესება: შეშინებულმა მთავრობამ დააკმაყოფილა ჯარის კაცი. გემზეც არ არის მშვიდობიანობა.

— რველში დაბანაკებულ ნოვოჩერკასკის პოლკის ბატალიონს უფროსებმა განუცხადეს, რომ თუ ეს ბატალიონი გაამართლებს, მთავრობის იმედებს, მაშინ აჯანყებული პრეობრაჟენსკი პოლკის ადგილს დაიჯერსო.

— რკინის გზის მე-3-მე ბატალიონი არეულობისთვის დაითხოვეს ბატალიონში მარტო 80 კაცი დარჩა.

— კახათა შარას. კრასნოე სელოს მახლობლად კახაკებმა გამართეს მიტინგი, რომელზედაც დაადგინეს—აწი არ იხმარონ იარაღი, მოძრაობის ჩასაქრობათ. თუ მაინცა და მაინც ძალათ დააკისრებენ ამ როლის ასრულებას. გადაწყვეტილი აქვთ თავიანთ იარაღებით წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებში. „ტ. უ.“

დეპუტები.

(პეტერბურგის დეპუტათა სეავენტისაგან). 7—8 აგვისა.

პეტროვსკის და ვიბორგის პოლკების ჯარის კაცებმა მიტინგზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიც ამბობენ, რომ ჯარის კაცი თანაუგრძნობენ განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც მთელი რუსეთი მოიცო, ჯარის კაცებს ესმით მიწის და თავისუფლების სურვილის სამართლიანობა და ამისათვის რუსეთის გლეხობას მხარს დაუჭერენ.

მოსკოვა. უნივერსიტეტის საბჭომ გადაწყვიტა მიიღოს მიმდინარე წელს საისტორიკო-ფილოლოგიკო-კულტურულ მუშაობის მუშაობის—500. იურიდიულთა—60, მედიკურთა 50, მუშებმა საზოგადო სამუშეოებზე რეგოლიუციონური გზით შემოიღეს რვა საათის მუშაობა, რის გამოც ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა: შემოიღონ დღიური მუშაობის მაგივრათ, ნარდათ მუშაობა, მუშათა ერთმა ნაწილმა დაანება მუშაობას თავი. მათ გაუგზავნეს ქალაქის თავის წარმომადგენლები და თხოულობენ დასტოვონ წინააღმდეგი სამუშაო წესრიგი. საქმე გამწვავდა. ქალაქის თავს არ სურს მუშებს დაუთმოს.

ვარშავა. ხუთმა უცნობმა გაცარცვეს არტელიკი, რომელსაც მიქონდა 250,000 მან როსტოვის რკინის გზის მატარებლით. ბოროტ-გამზარხველნი გადმოხტნენ მატარებლიდან და შეუმჩნეველათ მიიმაღლენ.

ქუტაისის მხარე. სოფელ მელნიკში, ალექსანდროვის მხარაში, გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. პოლიციამ სროლით უპასუხა, ორი გლეხი მძიმეთ დაჭრილნი, უკვე გარდაიცვალა. დაჭრილია ერთი ქალი ფეხში. ჯარის მოსვლის შემდეგ გლეხებმა ძალა დაუტანებლათ გაცეს წამქვებელნი და დამწვრიდნენ.

ლენინგრა. „ტრიბუნს“ ოფიციალურად შეატყობინეს, რომ ინგლისის მთავრობას ოფიციალურათ არაფერი გაუგია ვახეთ „რუსში“ მოყვანილ ცნობების შესახებ ვითომ გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთ შორის მომხთარ გადაწყვეტილებაზე—რუსეთის შინაურ საქმეებში ჩასარევათ. ეს ცნობები სიმართლეს მოკლებულია.

თბილისი. ზანგზუორის მხარაში საშიშო მდგომარეობაა. თავდასხმა ხშირია. ბოქაულ ავლოვის მოკვლის შემდეგ, თათართა რაზმი, გადავიდა სისილანდის მიდამოში, სადაც მოხდა შეტაკება. არიან მკვდრები და დაჭრილები. გენერალ გოლოშინაოვმა სასტიკი მიწერილობა გაუგზავნა იქ გაგზავნილ რაზმის მეთაურს უთუოდ მოსპოს ან გაფანტოს თათართა რაზმი.

ლამე. ლამე ოსტროლენსკის სატუსალოს დაეცნენ ათი შეიარაღებული კაცი პოლიტიკურ ტუსალოთა გასანთავისუფლებლათ. სამხედრო დარაჯმა გაფანტა ისინი. ერთი ტუსალოთაგანი გაიქცა.

ცაქუანია. არეულობის გამო, რომელიც მოახდინეს გაფიცულებმა, კავშირთა საბჭომ დაადგინა: დღესვე გამოიწვიონ წესის აღსადგენათ ჯარი. სალამოზედ აღმისრიდენში განმეორდა სერიოზული შეტაკება გაფიცულ გლეხებსა და პოლიციის შორის. გლეხები შეარაღებული იყვნენ კეტებით. ბლომათა დაჭრილები.

აუზოვკა. ბაქან გრიგოშინოზედ ცეცხლმა იმსხვერპლა 12 მალაზია. ფიქრობენ, რომ ცეცხლი განზარს მოკიდებულა. აქედან საჩქაროთ გაგზავნეს ორი ესკადრონი დრაგუნებისა სოფელ მაკევეკაში, სადაც არეულობაა.

ოდესა. გენერალ-გუბერნატორი საყოველთაოთ აცხადებს: თუ ეინცობაა მუშაობა ნავთსადგურში არ განახლებდა, გაფიცვის წამქვებელნი გაიგზავნებიან შორეულ გუბერნიებში—სამხედრო წესების მოხსნამდის. ის მუშები, რომელნიც არ მოასურვებენ მუშაობას, გაიგზავნებიან ეტაბით ქ. ოდესიდან და ყოველთა შემერთებული ძალით მოქმედობას მოვსპობ იარაღით ხელში.

რედაქტორ-გამომცემელი
ალ. ვ. რუსხაძე